# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 340. ხუთშაბათი, 23 მარტი, 1906 წ. გაზეთის № 3034


МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГР

## დამშეულთა სიმღერა

ა. აჰარონიანისა

(სომხურიდან თარგმნილი)

ჩვენ უთვალავნი ვართ, ჩვენ მრავალ საუკუნის ტანჯვებისა და წყევლის ნაშობნი ვართ. უთვალავნი ვართ და ყველანი ვტირით და ვგმინავთ. შიმშილი და შრომა ჩვენი წერაა. როგორც უღელში შებმული წყვილი ხარი, წყეულ ქვიანისა და ეკლებიან გზებით მივათრევთ შორს სიბნელისკენ ჩვენს შემუსრულს, დასისხლიანებულს გვამებს.

ჩვენ ყველანი ვართ, ვშრომობთ და მშიერნი კი ვრჩებით!

ჩვენ შიმშილისა და შრომის ნამყენნი ვართ. ჩვენი კანი უხვის ოფლისაგან გაიქეჯა და ძარღვები დადუნდა სატკივრის ტვირთის ქვეშ. ყოველი უზნეო ბედნიერება ჩვენ გაქვავებულ და ტანჯულ ზურგზეა აკიდებული; უსამართლობის და უკუღმართობის მუშტების ქვეშ ჩვენმა თავის ქალამ გმინვა დაიწყო; ჩვენის სისხლითა და ცრემლით უსინდისო წურბლები დაძღნენ. ჩვენ საბრალონი და განდევნილნი ვართ. ამ ფართო ქვეყანაზე სადაც ჩვენა ვშრომობთ და მშიერნი-კი ვართ, ადგილიც-კი არა გვაქვს, რომ დაბნეული თავი მივდოთ.

მკერდის ქვეშ და მკლავებში დიდი ბუნების შემომქმედი და ჩუმი ძალა გვაქვს და იმის მოთმინების ზღვაში ჩავფალით ჩვენი ტანჯული გული; ჩვენ სიმართლის უაბჯარო მებრძოლნი გავხდით. ქვეყანამ ისრებით განგმირა ჩვენი გული; პროტესტი არ გამოგვიცხადებია, მარტონი ვგმინავდით ტანჯვებისაგან; ვგმინავდით და ვშრომობდით ჩვენის ჯალათებისთვის.

მშიერნი ვართ, მშიერნი ვართ!

ჩვენი შრომა, დაუცხრომელი და განუწყვეტელი შიმშილის ხანგრძლივი ბოდვაა. მხრებზე ავიკიდეთ ძალმომრეობისა და უსამართლობის შენობის ყრუ თაღები; ჩვენ მკლავებს ტკაცანი გააქვს, ძვლები ხმას იღებენ დაწყევლილ ტვირთის ქვეშ: მოხრილებმა და უბედურებმა სულ ელურად გავქედეთ ჩვენი მტრების ბედი იმ დროს, როდესაც გახურებულ ქურის ნაპერწკლების ქვეშ ჩვენი გაშავებული კანი შიშინებდა, ბოლავდა და ნაჭერ-ნაჭერ იწოდა გლახაკის ძონძებსავით.

ჩვენ ვშრომობთ, ჩვენ მშიერნი ვართ!

ჩვენ უთვალავნი ვართ, შიმშილით და წყევლით დასჯილნი ვართ, ბრბოს წარმოვადგენთ. ყველანი ვტირით, ვკვნესით და ვგმინავთ. შეუგნებელის ღონით ვატარებდით ჩვენის მკლავების ბორკილებს, ცრემლის წვეთები, გესლიანი და ამღვრეული გაწითლებულ რკინას ეცემა, ისიც განრისხებული იკლაკნება და სისინებს, როგორც დაკოდილი ნადირი, რადგან ჩვენ ვშრომობთ და მშიერნი ვართ!

როდესაც, შავად გამწკრივებულნი, სამუშაოდ მივდივართ, თავების ზღვას წარმოვადგენთ. ეს ზღვა აზვირთებული დუდუნებს, გულის ბოღმას იკლავს. გაჭირვებისა და სატკივრის უზარმაზარი გველი უთვალავის რგოლებით ტანზე შემოგვხვევია, შეუბოჭნია ჩვენი შავ-ბნელი ბედის წერა და სისინებს ჩვენს ყურებში, იმ დროს, როდესაც ღონე-მიხდილი მკლავები ერთის წუთით ძირს გვეშვება, მუხლები გვეკვეცება ტვირთის ქვეშ.

ჩვენ ვშრომობთ, მშიერნი ვართ!

არავინ არ იხედება ჩვენის გულის სიღრმეში, რომლის ბნელ ჯურღმულში, როგორც ბნელ საპყრობილეში, შეუპოვრობა ჯაჭვებით არის შეპყრობილი; გაცეცხლებულ მგელკაცსავით ღრიალებს იგი, ღმუის და არწევს თავის დაჟანგიანებულ ჯაჭვებს, და, ყოველ ახალ დარტყმასთან ერთად, როდესაც ქვეყანა გვაწვება ზურგზე, აჟანგიანებული ჯაჭვი ჩხრიალებს ყრუდ და საშინლად, როგორც ახლად გაღვიძებული ვულკანი.

ჰო, ფრთხილად, რადგან ჩვენ ვშრომობთ და მშიერნი ვართ!

ბოღმა დამშეულ არწივსავით ღრღნის ჩვენს გულს, ცხოვრება წვეთ-წვეთად აწვეთებს დარიშხანს ჩვენს ძარღვებში. ვწყევლით ჩვენს შრომას, რადგან იგი ჩვენ შავ შუბლსა ხნავს მხოლოდ ტანჯვისა და სიმწარის დასათესად იმ დროს, რო-




მთხოვნელები „ნამესტნიკის" სასახლესთან.

დესაც ჩვენს გარშემო ლაჩარნი და უზნეონი ცოცავენ ბრწყინვალე სიმყრალეში, ნამდვილ დანაშაულობასა და უსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაძრის შელახვა.—სურ. გროტგერისა.

მართლობაში. შეუპოვრობის ჯაჭვი ირხევა ყრუ ხმაურობით, ვულკანი გრიალებს ჩვენის გულის სიღრმეში.

ფრთხილად, რადგან ჩვენ ვშრომობთ და მშიერნი ვართ!

კმარა! ჩვენი მკერდი სქდება მრავალ წლის ტანჯვისაგან! ჩვენ გულში რისხვა დუღს, როგორც გავარვარებული მეხი. მთელი ჩვენის ძალ-ღონით ავიმაღლებთ ტანჯულ თავებს, დავდგებით მაგრა, გავიშლებით წელში და არასოდეს აღარ მოვიხყით ქედს.

ფრთხილად, ვშრომობთ და მშიერნი ვართ!

კმარა ჩვენი ცრემლი, კმარა ჩვენი სისხლი! ცხოვრება ან ლხინია, ან ტანჯვა ყველასათვის. ვინ შეაერთა შიმშილი და შრომა და დაამკვიდრა ჩვენ ტანჯულ ზურგზე სილატაკე, და ფუფუნება კი დააშორა ძალლურ ბედნიერებისათვის. გესმით ჩვენი ურჩობის ხმა? ეგ ქარიშხალის ღრიალია, რომელიც ყრუ გამოხმობით დადის ქვეყანაზე. ათას წლობით გამოცდილ შიმშილისა და ტანჯვის ხმაა, ხმა იმ საფლავებისა, რომელთაც თავიანთ ბნელ გულში, უზარმაზარ ტვირთის ქვეშ, ჩაუკრავთ პროტესტის გამოცხადების სიმართლე.

ჩვენ ბევრი გვიშრომია და მუდამ მშიერნი ვყოფილვართ!

ჩვენ გამოვალთ ბნელ გამოქვაბულიდან, სადაც ჩვენი სიცოცხლე კლდეების თხრით დაილია, იმ სატანჯველ ჯოჯოხეთიდან, სადაც ჩვენ სხეულს ჟანგი ღრღნის; გამოვალთ ნესტიან და ბნელ ქვედა სართულიდან, სადაც იმდენი ვიცოცეთ მშიერთ, გამოვალთ ვით, როგორც განრისხებული, აღელვებული და აქაფებული ზღვა, რომელიც ანგრევს დიდის ხნის კედლებს და ქვეშ ატანს ყველაფერს. ათას წლობით გვიწყევლია ჩვენის დედების მუზიარობა, გვიწყევლია მზის პირველი სხივი, რომელიც ჩვენს აკვანს ულიმოდა, ეს წყევლაა, რომ რისხვითა და გესლით მოსილს, ჩვენთან ერთად ვატარებთ, რადგან ჩვენ ვშრომობთ და მშიერნი ვართ!

ჩვენი სიმღერა შიმშილის ერთი დიდი ღრიალია; იმისი ხმები გამანადგურებელ ქარიშხალისაგან გამოგვიგლეჯია, ხოლო იმისი გოროზი ჰანგები ქექა-ქუხილის ძალაზე აგვიწონია ჩვენს დატანჯულ და ტიტველ მკლავებში ჯერ კიდევ მოიპოვება ღონე მოსაღერებლად, ჩვენი ჩაქუჩი ჯერ კიდევ ძლიერია სიმაგრის შესამუსრავად..

გზა! გზა იმათ, რომელთაც უშრომნიათ და არ დამტკბარან, სისხლი—ოფლი დაუღვრიათ და ყოველთვის უბედურნი ყოფილან, რომელთაც შეუქმნიათ ყველაფერი და უტანჯიათ. გზა: შრომა მოდის, ღონიერი და ურჩი. მას აღარ უნდა მშიერი იყოს, გზა!..

ყ. კ—ხა

# ამაყი სული.

(ზღაპრული)

ბინდ-ბუნდი იყო. ნისლით დაბურული მთის ქედურები განთიადის მოლოდინში ილიმებოდნენ. ნამით დაფენილი ველ-მინდორი ნამტირალევ პატარძალს ემსგავსებოდა.

ბუმბერაზ მთებზე გაწოლილ ნისლებ შუა ცხოველმყოფელმა მზემ სხივები გამოაპარა, ველად სამყაროს ტანჯულ გულზე მარგალიტის ცვარებად გაშლილი გლოვის ნაცრემლი მყის წამოჰკრბა, შეაშრო.

გაიღიმა ბარმა. ჩამჭკნარმა ყვავილებმა თავი მაღლა ასწიეს. შემწვანებულმა მდელო-კორდებმა მხრები შეიბერტყეს, შტოები მოიმარჯვეს, ნორჩი, ხავერდოვანი ყურები აცქვიტეს: ქვეყანას ეტკბილა სანატრელი მზის სხივი, სამყარო ღიმილად იქცა.

მზის სიცხოველემ მედიდურ მთების გაყინული თეთრი ჩაფუტი ჩაფხფიცხა, გულში ჩააკვდა, დაადნო, ცრემლად დასწურა. მთათა ნაცრემლი ღვარ-ქაფად იქცა, ჩამოაწყდა ხევხუვებს, ჰალა-ხეობას, აახმაურა; გრგვინვით ჩამოაქროლა დაცემულ ველს, გაუზიარა მთის ყოფა, ცხოველ გზის ძლევამოსილობა.

ულრან, ყრუ ხეობაში ავსულთა ძახილივით გაისმა მთათა ქვითინი, ბარის მოძახილი, დაბა-ქალაქთა აფორიაქება.

ძირს, ღრმა ქანჩახებში, ღამე ნათევი ნისლი დაიძრა, ბუმბერაზთა კალთებს შეეფინა, შავად დაჰბურა.

ზღვაც, მსოფლიოს ცრემლთა გუბე ზღვაც, შეტოკდა, მოუსვენრად ქანაობა იწყო, ტალღას ტალღაზე აგორებდა, იქოჩრებოდა. თავის პირისფარეში ზეფირი მოიხსნა, სამყარის შიკრიკს ცელქ ნიავს განიერ მხრებზე მანტიად მოჰხურა და დაჩაგრულ ქვეყანას პირსაბურად აახლა. გზნეულ სულივით გაჰშალა ნიავმა ფართე მკლავები, შავ მანდილად გადააფინა ქვეყანას შავი ნისლი, მზის შუქი შეჰკრა, დააბნელა.

აზმაურდა სამყარო, აბორგდა ზღვა, ღმუოდა ქარიშხალი. მომსქდარ ღვართ-ქაფს არე-მარე თან მიჰქონდა. დამფრთხალ ადამიანთა კვნესა-გოდება მეორედ მოსვლას ემსგავსებოდა. რაც სუსტი, მჩატე და უძლური იყო ცხოვრების ტალღას წასალეკად მოეტივებინა.

ამ აზვირთებულ ცხოვრების ირომატრიალში ჩაისახა მებრძოლ ადამიანის მედგარი მისწრაფება. აქ დაიბადა ურჩი, შედიდური შვილი დაუდევარის ბუნებისა—ამაყი სული.

იგი შეჰხაროდა სხივოსან მნათობს, ჩაისუნთქებდა მთაველთა სურნელებას, ეწაფებოდა ანკარა ჭეშმარიტების წყაროს, იზიარებდა ადამიანის გულის დუღილს ნილებ ქვეშ გაფურჩქვნილ ცხოვრების ჩაჩრდილულ ყვავილებს გულში იხუტებდა. მსოფლიოს გრგვინვა-კვნესას გულის სიღრმეში იყვავილებდა. აჩუხჩუხებულ გულის წყრომას გულშივე იგუბებდა, რომ ერთბაშად პირი ექნა და სამყაროს გმინვა-გოდება წაელეკნა.

ცხოვრება კი, გულქვა, მიუდგომელი ცხოვრება მის ნავსაც აქანებდა. ერთს კიდიდან მეორეზე ანარცხებდა, შთანუზიარებდა, ბუმბერაზი, მკერდიდან მომსქდარი მდინარე მსოფლიოს ცრემლად უგუგუნებდა. სპეროზის*) სალ კლდეზე მიჯაჭვული ამირანი ალერსით ულიმოდა. გმირი ყარამანი რახტ-მერანს სთავაზობდა, სამშობლოს გულმკერდზე ძუძუნაწოვნი დევები თან ხლებას ემუდარებოდნენ.

*
* *

ძირს კი, გაშლილ ველად გაშენებულ დაბა-ქალაქებში ქედ-წახრილი, დამონებული ხალხი ოფლში სცურავდა, თავგანწირული იბრძოდა არსებობისათვის. მოღლილ კუნთებს სჭიმავდა, ერთმანეთს აწყდებოდა, ჰსრესდა, ფეხ ქვეშ ჰქელავდა.

დამონებულთა კვნესა და მოთქმა, გაბატონებულთა ყიჟინი და მხიარულება ერთმანეთში შეზელილიყო. დამკლავებულ ხალხის მესვეურებს თმები ყალყზე წაჰსვლოდათ, ალმადალმა დაფანტულიყვნენ.

— აქეთ ძმებო, აქეთ! — გაჰკიოდა ერთი, — და სამოთხეს ჯოჯოხეთისაკენ უჩვენებდა.

— სტყუის! სამოთხე მე ვარ, მე!—ბრაზობდა მეორე კბილების კრაჭუნით და ბაბილონის გოდოლი სამოთხედ დაესახა.

— სიყვარული!.. სიბრალული!—ემუდარებოდა მესამე და ლმობიერად კელაპტარს ანთებდა.

— ჰკა მაგათ, დაჰკა!—გაჰკიოდნენ მხედრები და მუქარით ხიშტებს ატრიალებდნენ...



ღალატი და დ.სჯა.—სურ. გროტგერისა.

თქმას ემუქრებოდა. ის [კი] იდგა უდრეკელად, მედიდურად, ამაყად და უმკლავდებოდა ცხოვრების აფორიაქებულ ტალღებს.

სიცოცხლის მზე დაჰნთოდა, მთვარე სინაზესა ჰფენდა, მიბნედილი ვარსკვლავები თვალს უშვრებოდნენ, მთიდან წამოშლილი თოვლის ნაფერთალი მყინვარის გულზვიადობას დაიბნა, დაიქსაქსა ხალხთა გულის თქმა; გაინაბა, გაიწურა იგი, როგორც მტრედი ქორის კლანჭებში. ქვეყანას

*) სპეროზია — კავკასიონის მთებში აყუდებული ტინის ფრიალო მთაა—პანკისის ხეობას დასცქერის. თუშ-ფშავ-ხევსურს-ქისტთ თქმულებით იქ[ა]რის[ს] ამირანი მიჯაჭვული.

სიკვდილის სიომ მოჰბერა. ჩაჰქრა, ჩაიფერფლა სიცოცხლის ძალა... მებრძოლთა დროშებს ნიავი-ღა უსისინებდა.

*
* *

— აჰათ, თქვე ლაჩრებო! — დასძახა ამაყმა სულმა და თვალებიდან ცეცხლი დააჰკვესა.

სამყარო შეკრთა, გაინაბა—შერცხვა ამ ხმისა, ლუღლუღი მორთო, აწრიპინდა.

— რას ბუტბუტებთ?! რას იცრემლებით?! — გადასძახა კვლავ ამაყმა სულმა და თავის მერანს რახტი ძლიერად აუქნია.

დედამიწა ინძრა, მთამ გაიზმორა. ქარიშხალი ამოვარდა, მხდალი, ლაჩარი და უგნიასო ყველა ძირს განერთხო.

— სუსტი ვარ, უძლური, შემიბრალე.—დაიკვნესა მის ფერხთით მცოცავმა ბდამიანმა და დაიკლაკნა.

— საბრალო მონა! — დაიზიზლა მან და ზედ გადაუარა.

— რას სჩადი, რას?!—დაიბუზღუნა მთის წყარომ და ცრემლი-ცრემლზე გადმოაფრქვია.

— იდინე შენთვის!—მიაძახა ამაყმა სულმა.—შენი ქვითინი კვლავაც ჰსმენია არე-მარეს, მაგრამ სამყარო წყაროდ არ ქცეულა, არც შენ-სალ ტინადა!

გულმოკლული წყარო ბუტბუტით დაეშვა თავქვე და თავის ბანოვან ყვავილთა ბუჩქებისაკენ მიაშურა.

ის კი ქარიშხალივით დააქროლებდა თავის მერანს [illegible] დალმა და ჩალეულფილ ქვეყანა! ზავთიანად გადასძახოდა:

— რას განაბულხართ? რას ჩამძვრალხართ მშიშარა კანში?! სიცოცხლე გწყურიათ? შეიყვარეთ იგი, ვით ზღვის ყვავილს უყვარს ტალღის ქანაობა, ვით ნიავს—ღვთაებრივი ნავარდი, ვით მთისა ჩანჩქარს—თავისუფლების სიმღერა! თავისუფლება გენატრებათ?—იბრძოლეთ მარად! ამართული ხელები ძირს რას დაგიშვიათ!? ფეხ-ქვეშ გაიგდეთ ძალმომრეობა! ვერაგთა პირქუშობა სამარცხვინო ბოძზე გააკარით! ორგულთა ტახტი სარჩობელაზე აიტანეთ! გულს ჩაითბუნეთ დაუდეგარი, ამაყი, სახიერი გულის ძგერა!

შეისუნთქეთ თავისუფლების ღვთაებრივი სიო, შემოუქროლეთ მთა-ბარს, ტყე-ველს, დაბა-ქალაქს! იბრძოლეთ მარად! როგორც აგორებული ზღვის ტალღა ებრძვის სალს კლდეებს, როგორც დაქანებული ღვართ-ქაფი—ულრან ხევხუვებს, როგორც მედგარი ჭეშმარიტება—უდიერ ბოროტებას!

მაშინ იქნებით თავისუფალი, ამაყი, სახიერი, მედიდური, მხოლოდ მაშინ!

აბა, მომყევით, ვისაც სიცოცხლე გიყვარს!...

**ნარკანი.**




ოქროს კერპი.—საგანი საერთაშორისო თაყვანისცემისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. მ. ჯაბადარი

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 372